№ 148
სამშაბათი, 11 ივლისი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 148
სამშაბათი, 11 ივლისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 227

## იყიდება კუკიის გაჯი.

ეს გაჯი ყველა სხვა გაჯსა სჯობია სითეთრით, სიმაგრით და სისუფთავითაც.

ბევრმა არ იცის ესა და ყიდულობს სხვა გაჯს, რომელიც რამდენისამე კაპეიკით უფრო იაფადა ჰღირს. რათა შემდეგში მუშტარი არ მოტყუვდეს, იმ პოვოსკებს, რომლითაც კუკიის გაჯსა ჰყიდიან, ქისტი ექმნება მიკრული ამნაირის წარწერით: „კუკიის გაჯი".

ვისაც ჰსურს ეს გაჯი შეიძინოს, უნდა მიჰმართოს მეიჯარადრეებს თოფაძესა და ჩხეიძეს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიასთან, ნადიროვისა და დოლუხანოვის მამულში. მოიჯარადრეებს 15 ცხენი ჰყავთ გაჯის საზიდავად. (15—128—12)

**ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ.-მამულო ბანკის ზედა-მხედველი**

## კომიტეტი

აცხადებს ამ ბანკის იმ რწმუნებულთა საყურადღებოდ, რომელნიც თავად აზნაურთა მიერ არიან არჩეულნი, რომ მათი ამორჩევა, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ამა წლის 21 მარტის კრების ოქმის თანახმად, გადადებულ იქმნა გუბერნიის თავად-აზნაურთა მომავალ მორიგ კრებამდე. (3—6.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, გორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12½—1½ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ჰ. ქარაკეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

## ნასიძე

**15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.**

შეუდგენს მსურველთ ყოველნაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12-მდე და საღამოობით 5—7-მდე. (30—უ.—4)

## მკურნალი
## ვ. გ. წერეთელი

**იღებს**

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე. და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ელიზაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელის და ცხვირისა—11—12 საათ.

**ვ. გ. წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკოვიჩი**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (გარანტოვის მეგობის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

*** გამოქვეყნებულ იქმნა შემდეგი მეტად საყურადღებო უმაღლესი ბრძანება: „ჩვენ მიერ დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს აზრის თანახმად, საკეთილოდ ვცანით 1) 1901 წლის 1 იანვრიდგან გაუქმებულ იქმნას კავკასიაში საკომლო და აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი საადგილ-მამულო გარდასახადი და იმათ ნაცვლად დაწესებულ იქმნას სახელმწიფო ბეგარა და საადგილ-მამულო გარდასახადი; და 2) საერობო ხარჯი დაეკისროს, სასოფლო საზოგადოების მიწებთან ერთად, იმ კერძო კაცთა მიწებსაც, რომელნიც ამ საზოგადოებათ არ ეკუთვნიან, და აგრეთვე უმაღლესი წოდების მამულებსაც.

„ამ ზომებს აზრად ისა აქვს, რომ საადგილ-მამულო გარდასახადის გაღების ტვირთი თანაბრად იქმნას განაწილებული და ამით ამ საქმეში სამართლიანობა იქმნას შეტანილი.

„ამასთან ჩვენ ყურადღება მივაქციეთ აგრეთვე იმასაც, რომ, ამ ახალ ზომების მიღებისათანავე, იმათ მამულებს, რომელნიც საკომლო გარდასახადს არ იხდიან, გაეწერა ხაზინისა და საერო გარდასახადთა სასარგებლოდ იმაზედ მეტი, რასაც აქამდის იხდიდნენ, ხაზინის იმ ხარჯის დასაფარავად, რომელსაც იგი მომრიგებელ სასამართლოთა და საგლეხო დაწესებულებათა შესანახად ეწევა.

„ამის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ გაადვილებულ იქმნას ახალ გადასახადთა გაღება, შესაძლებლად ვცანით, იმათ, ვინც საკომლო გარდასახადს არ იხდიან, ეპატიოთ ის ძველი დარჩენილი გარდასახადი მომრიგებელ სასამართლოთა და საგლეხო დაწესებულებათა ხარჯის დასაფარავად დადგენილი, და ამ გარდასახადის ჯარიმა, რომელიც დღემდეა, სახაზინო პალატათა ანგარიშით, დარჩენილი იმათ მამულებზედ და აგრეთვე ისიც, რომელიც დაედებათ 1900 წლის პირველ იანვრამდე.

„ამას გარდა, ყურადღება მივაქციეთ რა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა გაჭირვებულს მდგომარეობას, ყოვლად უმოწყალესად ვბრძანებთ ამ გუბერნიების შთამომავლობით თავად-აზნაურთა მიწები განთავისუფლებულ იქმნას სამის წლით (1901—1903 წ.) იმ სახელმწიფო საადგილ-მამულო გარდასახადისაგან, რომელიც ამ მამულებზედ უნდა იქმნას გაწერილი".

ნამდვილი მისის იმპერატორებითის უმაღლესობის საკუთარის ხელით მოწერილია:

„ნიკოლოზი"

*** გუშინ, 10 ივლისს, რიყის ქუჩაზედ, ეფენჯიანცის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ, დილის 11 საათზედ უბედურება მოხდა. შენების დროს ჩამოინგრა ტფილისის მოქალაქის ტერ-კარაპეტიანცის სახლის ქერი და თან დაიტანა ექვსი მუშა,

## ფელეტონი

### ვარშავიდგან ბერლინამდე

(მგზავრის შენიშვნები)

ვარშავა, როგორც წინად მოვიხსენიეთ, ბევრით განსხვავდება რუსეთის სხვა ქალაქებისაგან, მაგრამ გაშორდებით თუ არა ვარშავას და პირს იზამთ დასავლეთისაკენ—ეს განსხვავება უფრო თვალსაჩინო ხდება, მატარებლების სწრაფი მიმოსვლა, ყველაფერში სისწრაფე, გაცილებით ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი გატყობინებთ, რომ აქ სულ სხვა ჰაერი და სხვა ხალხია. მაგრამ ერთი გარემოება—გერმანული ენის უცოდინარობა მეტად ალონებს გამოუცდელს მგზავრს. მართალია, რამდენიმე საყველპურო სიტყვა უკვე გაზეპირებული მქონდა, მაგრამ ორიოდე სიტყვით გზის გაგნებაც ძნელია, თორემ ყველაფრის გაგება და საფუძვლიანად დათვალიერება ხომ სრულიად მოუხერხებელია. ამ ფიქრით ვიყავი მ.ოცული, როცა ვაგონში დავინახე ერთი ჩემი ნაცნობი პეტერბურგელი ყმაწვილი, კარგად მცოდნე გერმანულის ენისა, რომელიც საზღვარ-გარედ მიდიოდა. იმის დანახვამ სრულიად გამიფანტა ბურუსიანი ფიქრები, რადგანაც ის შეიქმნა ჩემთვის ყოველის მხრით სასურველი ჩიჩერონე.

გასცილდებით თუ არა საზღვარს—ჰრული სვეტები თავს დაგიკრავს, თქვენს თვალს წინ გადიშლება უზარმაზარი ფიჭვნარი, მშვენიერი ბაღები, რიგზე ჩამწკრივებული დეკორატიული ხეები. მთელი ეს არე-მარე, განსაკუთრებით ზაფხულში, წარმოადგენს ერთს ყვავილოვანს, ვეებერთელა წალკოტს, სადაც ყველაფერი თავის რიგზეა, ყოველი მცენარე, ბალი, ბოსტანი, ყანა თავის თავად გეუბნებათ, როგორის კულტურის მქონებელია მისი პატრონი. მართალიც უნდა გითხრათ, აქ ყველაფერში გერმანული გამჭრიახობა იხატება, გერმანული სისუფთავე, რომელიც წინად მხოლოდ გაგონილი გვქონდა, ეხლა ჩვენის თვალით ვიხილეთ ყველგან. თითონ ტყეში თითოეული ხე არ არის დატოვებული უყურადღებოდ, ხეზე ვერ იპოვით ვერც ერთს გამხმარს ტოტს, ტყეში ვერ იპოვით ვერც ერთს იმისთანა საგანს, რომელიც თვალში ეჩხირებოდეს ვისმე.

მიუახლოვდებით გერმანიის სატახტო ქალაქს ბერლინს. სურათი თანდათან ჰმატულობს. ვეებერთელა ქალაქი ორ მილიონ ნახევარ მცხოვრებელითურთ, უზარმაზარი ხუთ-სართულიანი შენობები, ურიცხვი რკინის გზები, ვაგონების სწრაფი მოძრაობა ქალაქის ერთის კუთხიდგან მეორეში, აუარებელი ძეგლ-ქანდაკებანი, რომლის შესახებ ცნობებს აქაური შვიდი-რვა წლის ბავშვიცკი გადმოგცემთ, სასტიკი წესიერება—ყველა ეს უცხო მგზავრზედ ძლიერადა და ამოუშლელად ჰმოქმედებს. ბერლინის ყველა შესანიშნავი ნაწილის დათვალიერებას და გაცნობას კაცი რამდენიმე წელიწადსაც ვერ მოასწრებს, ამიტომ, რასაკვირველია, ბევრი კარგი და შესანიშნავი ადგილი დაუთვალიერებელი დაგვრჩა. ერთს ფრიად შესანიშნავს დაწესებულებას არა მარტო ბერლინში, არამედ მთელს ქვეყნიერობაზედ შეადგენს აქაური ზოოლოგიური ბაღი, რომელსაც აქ—ზოოლოგიშერგარტენს უწოდებენ. იშვიათი იქნება ქვეყნიერობაზედ ისეთი ცხოველი არსება, რომ ამ ბაღში არ მოიპოვებოდეს, ისიც რამდენიმე ცალი. ყველა ჯურისა და მოდგმის ცხოველსა და ფრინველს თუ ქვეწარმავალს თავისს შესაფერისად აქვს ცხოვრება და სადგომი მოწყობილი. როგორც უზარმაზარი სპილოები ინდოეთისა, ისე ყინულიან ზღვის ძაღლებიც თავიანთ თავს სამშობლოში ჰგრძნობენ. ბაღში შესვლა ღირს 50 ფენინგი—25 კაპ. ბავშვები ნახევარს იხდიან. გერმანელი მოდის თავისის სახლობით, დაათვალიერებს რომელსამე უფრო საინტერესო ნაწილს ბაღისას, მამა ესაუბრება შვილებს ცხოველთა ცხოვრების შესახებ და შემდეგ, როცა დაღლილობას იგრძნობენ, დასხდებიან ბაღში საუზმედ, რომელიც თან მოტანილი აქვთ; ბუფეტიდგან მოითხოვენ მხოლოდ ლუდს, რომელსაც დიდიან პატარიანად დიდის სიყვარულით ეტანებიან და ბლომადაც სვამენ.

გარეგნობით რომ დააკვირდე გერმანელის ცხოვრებას, დარწმუნდებით, რომ იგი ყოველის მხრით დაწინაურებული ერია. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც მწიგნობრობა, დასტამბული წიგნების გავრცელება თავ-დაპირველად გერმანიიდგან დაიწყო. პირველი მომგონი და დამაარსებელი სტამბისა იოვანე გუტენბერგი ღვიძლი შვილი იყო გერმანიისა. ხუთასი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაიბადა ეს კაცობრიობისათვის შესანიშნავი მეცნიერი, რომელმაც დაუფასებელი ღვაწლი დასდო ქვეყანას თვის მოგონებით. ვინ არ იცის, უსტამბოდ რა გაჭირვებაში იყო ძველად ყველა ერი, სტამბის დაარსებამ, გუტენბერგის წყალობით, ყველა საუკეთესო ადამიანის გულისა და გონების ნადები და მოქმედებანი ადვილად მისაწვდენი გახადა ყველა-

რომელნიც, მათდა საბედნიეროდ, სიკვდილს გადარჩნენ, თუმცა-კი დაშავდნენ; ოთხი მსუბუქადაა დაშავებული, ორი-კი უფრო მძიმედ. დაშავებულნი მიხეილის საავადმყოფოში იქმნენ გაგზავნილნი. მალე მოვიდა პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი კოვალიევი, რომლის მეცადინეობით ცეცხლის მქრობი რაზმი შეუდგა ჩამონგრეულ აგურებისა და ხე-ტყის კარში გამოზიდვას, ეგონათ, რომ ქვეშ კაცები იქმნებიან მოტანებულიო. ორს საათზე გაათავეს მიწის ამოთხრა, მაგრამ, საბედნიეროდ, ნანგრევს ქვეშ არავინ არ აღმოჩნდა. მოვიდა აგრეთვე გამომძიებელი ბ-ნი კროტკოვი და ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ბ-ნი ფონ-კლუგენი. სახლი შენდებოდა ქალაქის გამგეობის ტახნიკოსის ბ-ნ მელიქ-ბეგლიაროვის მეთვალყურეობითა და ტეხნიკოსის გრიგოლოვის ხელმძღვანელობით. მიზეზი სახლის ქერის ჩამონგრევისა, როგორც სჩანს, ის უნდა იყოს, რომ რკინის დირეებს ერთის მხრით ისე სუსტად ჰქონოდა დადებული თავები კედელზე, რომ სიმძიმე ველარ აუტანია და იმის გამო ჩამონგრეულა. გამოძიებას უკვე შეუდგნენ.

*** დღეს, 11 ივლისს სხდომა ექმნება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. ამ სხდომაზედ საბჭოს მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან უკვე ნებადართულ მომავალ 1901 წელს ტფილისში, საქართველოს რუსეთთან შეერთების სახსოვრად, კავკასიის გამოფენის გამართვის შესახებ ექმნება ლაპარაკი.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი გუშინ-წინ, 9 ივლისს, დილით, თიანეთის მაზრაში წავიდა.

*** თიანეთის მაზრაში ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელთან ერთად წავიდა ტფილისის საგუბერნიო მკურნალი ბ-ნი ქიქოძეც.

*** მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, მიეცეს თუ არა ნება ფარმაცევტებს 27 წლის შესრულებამდე არ გადაიხადონ სამხედრო ბეგარა.

*** ახალის განკარგულების ძალით, ბლაღოჩინები მოვალენი არიან წარმოუდგინონ ადგილობრივ კონსისტორიებს საბლაღოჩინოებში არსებულ საეკკლესიო წიგნთ-საცავების მდგომარეობის ანგარიში.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრადა აქვს დააარსოს საფარმაცევტო განყოფილება საექიმო დეპარტამენტთან, არსებულის საზეითალო განყოფილების მსგავსად. ამ ახალს განყოფილებას დაექვემდებარება ყველა საფარმაცევტო დაწესებულება და საექიმო გამგეობათა საფარმაცევტო ნაწილი.

*** რადგანაც ბაქო-პეტროვსკსა და ყარსში რკინის გზის გაყვანის შემდეგ რკინის გზით მოგზაურთა რიცხვმა იმატა და ტფილისის ვოკზალი ველარ იტევს, ამის გამო განზრახვა აქვთ ტფილისის ვოკზალი გააფართოვონ.

*** ტფილისის ზოგიერთ სამრევლო საეკკლესიო სკოლებისათვის ნება დაურთავთ, რომ ამ ზაფხულს სახალხო კითხვები იქმნას გამართული როგორც მოსწავლეთა, ისე გარეშე ხალხისათვისაც.

*** კავკასიის რკინის გზის სამმართველოს შენობას კიდევ უპირებენ თურმე გაფართოვებას.

*** საოლქო ინტენდანტი გენერალ-ლეიტენანტი პ. გ. ტარანოვსკი 7 ივლისს საზღვარ გარედ წავიდა ორის თვის ვადით.

*** როგორც დაფასების უწყებიდგანა სჩანს, კავკასიის რკინის გზის ქიათურის შტოს განსაგრძობად 215,000 მანეთი თურმეა გადადებული.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა სვეჩინმა ტფილისის ხელოსანთა მოურავს სეროზიანცს წინადადება მისცა 16 ივლისისათვის ხელოსანთა საზოგადო კრება მოახდინოს, რომელზედაც 1897 წ. 1-ლ ნოემბრიდგან 1900 წ. 1-ლ იანვრამდე ხელოსანთა გამგეობის შემოსავალ-გასავლის სარევიზიოდ კომისსია უნდა ამოირჩიონ. კომისიაში მონაწილეობას მიიღებს სულ 4 ან 5 კაცი.

არჩევანები ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს მრჩევლისა ბ-ნის ციგანკოვის მეთვალყურეობით მოხდება.

*** როგორც შევიტყეთ, გარდაწყვეტილია უკვე, რომ სატელეგრაფო სკოლა ტფილისში ამ მიმდინარე წლის სექტემბერში გახსნან.

*** კავკასიის რკინის გზის სამმართველოს განზრახვა თურმე აქვს ამ მიმდინარე წელს სამის სადგურის აბაშისა, რიონისა და გრაკალის სამგზავრო შენობები გააფართოვოს.

*** პარიჟი. 11 (24) ივნისი. (საკუთ. კორესპონდენტისაგან), გუშინ კავკასიის განყოფილება განსაკუთრებით დაათვალიერეს კომერციისა და ინდუსტრიის მინისტრმა მილიერანმა და მისმა მეუღლემ. მინისტრს თან ახლდა სამხედრო და სამოქალაქო პატარა ამალა. რუსეთის განყოფილების დიდს შესავალში მიეგებნენ რუსეთის უმთავრესი კომისარი თავადი ტენიშევი და ქართველ მემამულეთა წარმომადგენელი ბატონი რაფიელ ისარლიშვილი.

მინისტრმა და მისმა მეუღლემ დაწვრილებით დაათვალიერეს ყველა ჩვენი ქართული ექსპონატები და მათ შესახებ ისარლიშვილის განმარტებას ყურადღებით ისმენდნენ. შემდეგ მინისტრმა და მისმა მეუღლემ მადლობა გარდაუხადეს ისარლიშვილსა და გამოეთხოვნენ.

*** დღეს, 11 ივლისს, ქალაქის გამგეობაში სხდომა ექმნება საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც ქალაქის საყასბოსთან ქალაქის მიწების იჯარით გაცემის საქმე აქვს მიხდობილი.

*** სურამი. შაბათს, 8 ივლისს, სურამის „შარგის“ ფარდულში კონცერტი გამართა ა. კავსაძემ. კონცერტს ბევრი ხალხი დაესწრო, ასე რომ მთელი ფარდული სავსე იყო, თუმცა იმ დღეს რამდენიმე სადღესასწაულო საღამო იყო სურამში გამართული. დამსწრე საზოგადოებას დიდად მოეწონა ბ-ნ კავსაძის ხორის მიერ ხაგალობები სიმღერები. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მგალობელთა შორის ბ-ნმა სარაჯიშვილმა, რომელსაც საუცხოო ტენორის ხმა აქვს. სასურველია, რომ ამ ემაწვილმა კაცმა პატრონობა გაუწიოს თავისს ნიჭს, გაბითაროს და საგანგებოდ შეისწავლოს მუსიკა.

*** რედაქციამ მიიღო მე-VI № ჟურნალ „ჯეჯილისა“: შინაარსი 1, ჩიტის სიმღერა ლექსი გაყა ფშაველასი; 2, ყვავილების გამყიდველნი (მოთხრობა) ნიკო ხუცაშვილისა., 3, სად დაიკარგა ჩვენი ზღარბუნა (გადმოკეთებული) კახ. იმერისა; 4, ტობი (თარგმანი) სონა ციციშვილისა; 5, რა მოხელდება (ხალხური იგავი) ი. ა—ნისა, 6, სამი ბეპელა, თარგმანი—სამსონ საააშიოელისა; 7, პატარა მოგზაურობა—არჩილია; 8, მინდორი მის დროს—ეკ. გაბაშვილისა; 9, შავი მხედრობა, (მოთხრობა მამინ სიბირიაკისა) თარგმ.—შალვა ტატიშვილისა; 10, ზირველი სარდალი რუსეთისა სუვოროვი—გ. წულუტუბელისა; 11, პატარა მკითხველების წერილები; 12, წვრილმანი: ხალხური ლექსი, აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, უჯრების გამოცანა, ანაგრამა, რებუსი და გამოცანის ახსნა.

*** სოფ. კურდღელაურიდგან „ცნობის ფურცელ“-ს სწერენ: „ამ სოფელში 30 ივნისს შემაძრწუნებელი მკვლელობა მოხდა: სოფ. კურდღელაურში მცხოვრებ გ. მესტვირეშვილს შეჰყვარებია ამავე სოფლის მცხოვრების ნ. ბიძინაშვილის ცოლი; ქალმა ბევრი უშალა, თავი დამანებე, ჩვენსა ნუ დადიხარო, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა და დადიოდა. ბოლოს რომ აღარ მოუშვებია, ქალს გამოუცხადებია მამასახლისისთვის, რომ ესა და ეს კაცი მომაშორეო. ეს ამბავი ქალის ქმარსაც ჰსცოდნია და თურმე ლაპარაკი და ჩხუბი მოსდიოდა თავისს მეტოქესთან; ამასაც მამასახლისისათვის გამოუცხადებია და უთქვამს კიდეც, რომ თუ არ მომეშვება, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქმნები ვიხმარო რამე ღონისძიება მის მოსაშორებლადაო. ყველა ამის მიუხედავად მესტვირეშვილი მაინც მისულა 30 ივნისს, ღამე და კარები დაუკაკუნებია ბიძინაშვილისათვის და თანაც დაუძახნია: „კარები გამიღეო“. ბიძინაშვილი მაშინვე წამომხტარა, აუღია თოფი და დაუბყივლია: „დაიკარგე აქედან, თორემ მოვიდა თოფი“-ო, ლულა გაუყოფინებია კარებში (ალბად შესაშინებლად) და გაუსროლია; იქვე კარებში მდგარა მესტვირეშვილი, ტყვია ყურის ძირში მოხვედრია, მეორე მხარეს გავარდნილა და მესტვირეშვილს იქვე სული განუტევებია. ბიძინაშვილს რომ დაუნახავს, კაცი შემომაკვდაო, მაშინვე მამასახლისთან გაქცეულა და ტირილით უამბნია, რომ კაცი შემომაკვდა და მიშველე რამეო. მამასახლისმა მეორე დღეს ბოქაულს შეატყობინა; ბოქაულიც მაშინვე მივიდა ადგილობრივ, სადაც მკვლელობა მოხდა, შეადგინა ოქმი და ბიძინაშვილთან ერთად გარდასცა გამომძიებელს“.

*** წარსულს თვეში ქალაქის საყასბოში დაუკლავთ 5,270 სული სხვილ-ფეხი საქონელი, 302 სული ხბო, 19,853 ცხვარი და 1 ცხენი. ამათგან 11 სული სხვილ-ფეხი, 2 ხბო და ერთი ცხვარი ავადმყოფი აღმოჩენილა და გადაუყრიათ.

## წერილი ახალ-სენაკიდგან

როგორც „ივერიაშიაც“ იყო მოხსენებული, 22 ივნისს, ახალ-სენაკში გაიმართა ბაზრობა (იარმუკობა). ხალხი სამეგრელოს ყოველ დაბა-სოფლებიდგან და აგრეთვე ჩვენის საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდგანაც 22 ივნისიდგან ცოტა-ცოტათი იყრიდა თავს სავაჭროდ. ადგილობრივი ხაწარმოებნი წელს ნაკლებად იყო „საიარმუკოდ“ მოტანილი. ეს უფრო იმიტომ, რომ ხალხს „იარმუკობის“ დაარსება ახალ-სენაკში გვიან გაეგო. მართალია, ახალ-სენაკის ახლო-მახლო სოფლებიდგან საშუშაოდ საკლავი საქონელი მოუყვანად გასასყიდად, მაგრამ მყიდველი იმდენი არ იყო. შორის სოფლებიდგან სრულიად არ იყო. „საიარმუკოდ“ დანიშნულ ადგილას რამდენიმე კარავი იყო დადგმული, რომელსაც დაბის წარმომადგენელნი უფასოდ უთმობდნენ ვაჭრებს. 27 ივნისს, ქ. ფოთიდგან დაბამ მუსიკა მოიწვია, რომელიც სამს დღეს უკრავდა ეგრედ წოდებულს აქაურს „ბულვარში“. მუსიკის მოწვევამ ხალხი ძალზედ მიიზიდა. თითქმის პეტრე-პავლობა დღეს დაბა სულ სხვა სახეხაობას წარმოადგენდა. დიდი თუ პატარა, ქალი თუ ვაჟი, ერი თუ ბერი უთვალავი იყო. ზოგი მათგანი სავაჭროდ იყო მოსული, ხოლო უმრავლესობა-კი თვალის გასახელად, სეირის სანახავად. ხალხის შეკრებამ ორ ივლისამდე გასტანა. ამინდებიც „იარმუკობის“ დაწყებიდგან დასასრულამდე მშვენიერი და საამური იდგა. ჩხუბი და აყალ-მაყალი, როგორც ამ გვარს დროში სჩვევია ხოლმე, საამისო არა მომხდარა რა. აქაურები მომავალს წელში, როგორც ამბობენ, სხვა ნაირად უპირებენ „იარმუკის“ მოწყობა-მომართვას... 21 ივნისს, აქაურმა ქართულ სცენის მოყვარეებმა ქ-ნის ეკატერინე ბესარ. მოსიძის თაოსნობით ქართული წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს 1) „მოხადირე“, 2) „რაც არ

სათვის. იმის წყალობით, წიგნი, რომელიც ძველად მხოლოდ მდიდართა კუთვნილებას შეადგენდა და ამშვენებდა მდიდრულ სასახლეებს, შესძლო ღარიბის ქოხში შესვლაც და შიგ შეტანა სიყვარულისა, ცოდნისა და განათლებისა. ჭეშმარიტად წინის ბეჭდვის საქმემ უექველად ბევრი იმოქმედა ხალხში განათლების გავრცელებისათვის. ლიუდოვიკ მეთორმეტე სწერდა 1513 წელს, როცა პირველად გამოვიდა ბეჭდური სიტყვა: „წიგნების სტამბის ხელოვნება და მეცნიერება უფრო ღვთაებრივი გამოგონებაა, ვიდრე კაცობრივიო“. ამ შესანიშნავის მეცნიერის ხუთასის წლის დაბადებას დღესასწაულობდნენ წელს ივნისში თითქმის ყველა ერი სხვა-და-სხვა ქვეყანაში, სხვა-და-სხვა რიცხვს, რადგანაც ნამდვილი რიცხვი მისი დაბადებისა არავის იცის. გერმანელები-კი დღესასწაულობდნენ 24 ივნისს, რადგანაც ამ დღეს არის დაბადება იოანე ნათლის მცემლისა და გუტენბერგსაც იოანე ერქვა. ყველამ, ვინც-კი მონაწილეობა მიიღო ამ სტამბის დღესასწაულში, კარგად მოაწყო, იდღესასწაულეს მესაფერისი პროგრამით და დაუდგეს ძეგლები. ყველაზე უფრო კარგად ეს სტამბის დღესასწაული გარდაუხდიათ ქ. მაინცს, სადაც დაიბადა გუტენბერგი. 24 ივნისს აქ გადაუხდიათ დღესასწაულებრივი პარაკლისი და შემდეგ დაუდვიათ გუტენბერგის ძეგლზედ აუარებელი გვირგვინი. 25 ივნისს ყოფილა დიდებული ცერემონია—სვლელობა, რომელშიაც მიუღია მონაწილეობა 3,000 კაცს ფეხით, ცხენებით და ეტლებით. ამ სვლელობაში ცალკე ისტორიული ჯგუფი წარმოადგენდა თურმე უკეთესს კულტურულს მოვლენას ამ ხუთასის წლის განმავლობაში. ამ ნაირად მაყურებელნი ჰხედავდნენ თვალწინ მიმავალს ეპოქის შესაფერისის ტანისამოსით ფილოსოფოსებს, შესანიშნავ მეცნიერებს, პოეტებს ეროზმიდგან დაწყებულს, ტორკვატო ტასსოს, კოპერნიკს და სხვათ უკანასკნელ საუკუნომდე. ამ სტამბის დღესასწაულით ყოველგან სცდილობდნენ ეგრძნობინებინათ კმაყოფილება სტამბაში მოღვაწეთათვის, მაგრამ არსად თვალ-საჩინო სასარგებლო საქმით, რომლის ღირსია ხსოვნა დიდებულის მეცნიერის გუტენბერგისა, მისი 500 წლის დაბადების დღესასწაული არ დაუგვირგვინებიათ. თვით გერმანელებს, რომელთაც ამ საქმეში შეეძლოთ ბევრის გაკეთება, სხვებთან შედარებით, ამ მხრივ არაფერი გაუკეთებიათ. აქ ბერლინში ერთმა მესტამბემ მიამბო, რომ საზოგადოდ ამ დღესასწაულს ბერლინში ძალიან უფეროულად ჩაუვლია.

ერთს რუსულ გაზეთში, რომელიც საზღვარს ახლო გამოდის, ამ ცოტა ხანში ამოვიკითხე ბერლინის ცხოვრებიდგან ერთი ძნელად დასაჯერებელი ამბავი, რომელიც მერმე წმენის შემდეგ მართალი გამოდგა და რომელიც დიდს და სამარცხვინო ჩრდილს ჰფენს გერმანელების სწავლა-განათლების საქმის გავრცელებას ხალხში. არ გვეგონა, თუ ასეთი ამბები შეიძლებოდა მომხდარიყო უგანათლებულესის ქვეყნის დედა-ქალაქში. რასაკვირველია, გუტენბერგმა ერთის მხრივ თავისი გამოგონებით განათლების საქმე წინ წასწია გერმანიაში და მთელს ქვეყნიერებაზედ გერმანიაში მწიგნობრობის საქმემ მიიღო დიდი განვითარება, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ აქაურს ხალხშიაც ცრუმორწმუნოება, სხვა-და-სხვა გვარ მისნობის რწმენა, რომელიც შეადგენს თვისებას ადამიანის უმეცრებისას, ყოფილა და ისიც სატახტო ქალაქში. აი ამისი საბუთიც. ერთს ახალგაზრდა კაცს, მუშათა კლასიდგან, რომელსაც მუშაობაში ვერაფერი ხეირი უნახავს, გამოუცხადებია გაზეთში, რომ მისანი ვარ (ЦЫГАНЪ), ვიცი ბანქოთი მკითხაობა და სხვა-და-სხვა მისნობაო. სხვა და სხვა წოდებიდგან მუშტარი ბლომად აღმოსჩენია. ამ ახირებულ და გაიძვერა კაცის მახეში მოჰყოლია, სხვათა შორის, ერთი საწყალი მკერვალი ქალი, რომელსაც ჯერ უკითხავდა და შემდეგ ეთამაშებოდა ბანქოს და თითონ იგებდა ამ ნაირად თანდათან აცლიდა თურმე საბრალო ქალს, რაც ფული ებადა. შემდეგ მისანს მიუცია რაღაცა სასმელი და უთქვამს, თუ გსურს ერთბაშად გამდიდრება, წადი ემმაკების ტბასთან პოსტდამში (ბერლინს ახლოა), იქ დალიე და ავი სული დაგიყრის ფეხებში აუარებელს ოქროსაო. ქალი გაბრიყვებულა. აუსრულებია ყველა ეს და რამდენისამე წუთის შემდეგ იქვე გარდაცვლილა. სასმელი საწამლავი აღმოჩენილა. მკვლელი გაქცეულა საბრალოს ბინაზედ, წაუღია რაც ფული უნახავს სახლში და ნივთებიც დაუგირავებია. სასამართლოში აღმოჩენილა, რომ ეს გმირი არა ერთს სულიერს ატყუებდა თურმე, რადგანაც ცრუ-მორწმუნეთა რიცხვი აქ ბევრი ყოფილა. ხაფიც მსაჯულთ ბოალდებულისთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ. კითხულობ ყველა ამას და არ გჯერა, რომ ეს მოხდა მე-XIX საუკუნის მიწურულში უგანათლებულესის ერის სატახტო ქალაქში და არა სადმე მიყრუებულს პროვინციაში; არა გჯერა, რომ ხალხი წიგნებიდგან განვითარების გარდა ამისთანა განათლებულს ქალაქში ეჩვევა და სწამს მისნობა და მკითხაობა.

ლ. ბოცვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერგება, არ შემერგება" კომედ. ვ. ბუნიასი და 3) „დატრიალდა ჯარა" კომედ. გ. ყიფიანისა. მონაწილეობა მიიღეს ქ-ნმა ფ. კალანდარიშვილმა, მ. ბდაშაიამ; ბ-ნთ ვ. დუმბაძემ, ი. ანანიევმა, გ. ჯავახიძემ, ნ. გაბუნიამ, ი. გოგოლაშვილმა და სხვებმა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მოთამაშეებმა თავიანთი როლები წინებულად ჩაატარეს. მათმა რიგიანმა თამაშმა საზოგადოება ისე აღტაცებაში მოიყვანა, რომ არა ერთხელ იქმნენ ტაშის და გაშა-გაშას ძახილით დაჯილდოვებულნი. წარმოდგენის შემდეგ აქაურს „კლუბში" ცეკვა-თამაში გაიმართა, რომელმაც ნაშუაღამევის 3 საათამდე გასტანა. აქვე ბუფეტი იყო გამართული, რომლის გამგედ თვით ქ-ნი ეკატ. მოსიძისა ბრძანდებოდა. ამ წარმოდგენიდგან შემოსული ფული, ხარჯს გარდა, ქ-ნმა ეკატ. მოსიძისამ, მოთამაშეების თანხმობით, გარდასცა ახალ-სენაკის დედათა სამრევლო სკოლის მმართველ-გამგეს ბ-ნს მ. მ. არისტ. კალანდარიშვილს 125 მან. 40 კაპ., რისთვისაც აქაურნი დიდს მადლობასა სწირავენ ქ. ეკ. მოსიძისასა და სხვებს ამ გვარის მოყვარულობის შემწეობისათვის, მით უფრო, რომ ხსენებული სკოლა ნივთიერად ძალიან დაქვეითებულია. წარმოდგენის დროს, ანტრაქტებში, საგანგებოდ მოწვეული მუსიკა უკრავდა.

30 ივნისს, ამავე სცენის მოყვარეებმა ისევ ქ-ნის ეკ. მოსიძის თაოსნობით წარმოადგინეს: „ბუტიაობა" კომედ. თ. ა. წერეთლისა, „ოიინბაზი" კომედ. ა. ცაგარლისა და „მონადირე" გ. გუნიასი. დასასრულ-კი დივერტისმენტი. სცენები იმერულ-სომხურ ცხოვრებიდგან წაიკითხეს გ. ჯავახიძემ და ი. ანანიევმა. ამ უკანასკნელმა წარმოდგენამაც კარგად ჩაიარა და საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. უკანასკნელ წარმოდგენიდგან შემოსულის ფულით სამუდამო სცენას აკეთებენ, სადაც თვეში ერთხელ მაინც მექმნება წარმოდგენების მართვა. ამბობენ, მოთამაშეები და თვით დიდად პატივცემული მოთავე ამ საქმისა ქ-ნი ეკ. მოსიძისა, თუ-კი შეიძლეს და სამუდამო სცენა მოაწყეს „კლუბში", საქველ-მოქმედო აზრით წარმოდგენები ხშირ-ხშირად გვექმნება ხოლმეო. ღმერთმან ინებოს ამ საქმის განხორციელება.

ტრიფონ კალანდარიშვილი.

# უცხოეთი

**ჩინეთი.** როგორც ეხლა იუწყებიან, ამ ბოლოს დროს რამდენიმე დიდი ბრძოლა მომხდარა ჩინელთა და უცხოქვეყნელთა ჯარს შორის ტიან-ძინში. ყველანი ჰკვირობენ, ისეთს მხნეობას, მამაცობას და გაყკაცობას როგორ იჩენენ ჩინელნიო. ეგონათ, ჩინელები მშიშრები არიან და ბრძოლა არ იციანო, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა: ომმა სულ წინააღმდეგი დაანახვა ევროპიელებს. ამას გარდა იარაღსაც საუკეთესოდ ხმარობენ თურმე. დეპეშები რამდენჯერმე იუწყებოდნენ, რომ ჩინეთის არტილერია თითქმის არაფრით არ ჩამოუვარდება ჩვენს არტილერიასაო. უკლა ამას მიუმატეთ ჩინეთის ჯარის სიმრავლეც და მაშინ ადვილად მიხვდებით, რა მეცადინეობა დასჭირდება ევროპას ჩინეთში წესების აღსადგენად, თუ, რასაკვირველია, ჩინელნი თანხმობით იმოქმედებენ.

— არ იქმნა, ვერას გზით ვერ შეიტყეს ის, თუ პეკინში მყოფ ევროპიელებს რა ბედი ეწვიათ. ხან, ამბობენ, რომ ამოჟლიტესო, ხან კიდევ — ცოცხალნი არიანო. უმრავლესობას უფრო მართლად მხოლოდ პირველი ამბავი მიაჩნია. სხვათა შორის გაზეთს „Daily Mail" შანხაიდგან ატყობინებენ: „წარსულ ორშაბათს ამბავი მოვიდა, რომ 23 ივნისს ჩინელებმა თავს დაესხნენ გადარჩენილ ორ საელჩოს — რუსეთისა და ინგლისისასო. ამ თავს დასხმის დროს ჩინეთის ჯარს წინამძღოლობდნენ პრინცები ტუანი, ცაინი, იუნლი და ცაიუი. დილის 7 საათიდგანვე ჯერ დაუშინეს საელჩოებს ზარბაზნები და რამდენისამე საათის შემდეგ მიწასთან გაასწორეს. უცხო-ქვეყნელთაგან ვერავინ გადარჩა, ყველანი ამოჟლიტეს. საელჩოების გარშემო ბევრი გვამებით იყო სავსე. პრინცმა ჩიხმა, გაიგო თუ არა, რომ საელჩოებს დაეცნენო, გენერალი ვანგ-ვენგ შაო დაიბარა და ჯარით იქიდგან გამართა ევროპიელთა საშველად. მაგრამ მოწინააღმდეგეს მეტად დიდი ჯარი ჰყავანდა და ერთს საათსაც ვერ გაუმაგრდა. პრინცმა ტუანმა ამ გამარჯვების შემდეგ, მოკრივეების გულის მოსაგებად 100,000 ტაელი და აურაცხელი ბრინჯი დაარიგა".

— „Daily Express"-ის შანხაელი კორესპონდენტი სწერს: 28 ივნისს მივიღეთ შანხაიში ტუანის მიერ გამოქვეყნებული ბრძანების პირი. ამ ბრძანებაში ტუანი თავს იმპერატორად ასახელებს და აქებს „მამაც და სამშობლოსათვის თავ-დადებულ" მოკრივეებს. „ჩვენ — ამბობს ბრძანებაში ტუანი, — ეხლა შიში აღარ მოგვეძლის; ყველაფერით მზადა ვართ, საკმაოდ გვაქვს თოფები და ზარბაზნები. ჩვენ არ დავივიწყებთ იმათ, ვინც ამ საღმთო ომში ერთგულობას გამოიჩენებს და ქვეყნის საკეთილოდ შრომას არ დაიზოგავენ. ყველანი მიიღებენ ბრინჯსა და თბილ ღვინოს, უცხო-ქვეყნელი მშიშარა ხალხია და ჩვენ ვერ გაგვიმაგრდებიან. ისინი უკვე დამიხდნენ. ერთის დაკვრით გავანადგურებთ მათ. ნურც ერთს ნუ დაზოგავთ". ამავე ბრძანებაში ტუანმა მოკრივეთა სამის დიდის რაზმის უფროსებად პრინცები ჩვანი, ცაისხანი და განგლი დანიშნა".

— გაზეთების სიტყვით, გერმანელები ძალიან ემზადებიან ჩინეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩინეთში გერმანიის სამხედრო აგენტად ნამყოფს ბარონს ფონ-ტეიხმანს უთქვამს, რომ მთავრობა დიდ ძალს ჯარს გამოჰგზავნის; უფროსებად საუკეთესო ოფიცრები იქმნებიან დანიშნულნიო. ჯარი ჩინეთში მოსვლისას პირდაპირ პეკინისაკენ წავა. იგი გზას ან ჩიაოჩაუდგან ან ტიან-ძინიდგან და ან კიდევ მახხაი-კუანიდგან დაადგება. გონებ, უფრო ამ უკანასკნელ მიმართულებას აირჩევენ, რადგანაც იქიდგან პეკინი ახლოც არის და გზებიც კარგიაო.

**ინგლისს-ტრანსვაალის ომი.** მართლდება ის ხმა, რომ ბურები ჰსრულიად აპირობენ ტრანსვაალიდგან წასვლას და სხვაგან დასახლებასაო. ბურები ტრანსვაალის ჩრდილოეთით აპირობენ დასახლებას. ეს ადგილი საღავოა და ჯერ არავის დაუსაკუთრებია. ბურებს იმედი აქვთ, რომ ხელ-ახლად მიეცემიან მშვიდობიან და წყნარ ცხოვრებას. გადასახლდებიან მაშინ, როდესაც ინგლისს საკმაოდ გაუჭირდება საქმე და როდესაც საბოლოოდ დარწმუნდებიან, რომ ჩვენ საქმეს აღარაფერი ეშველებაო.

**ამერიკის შეერთებული შტატები.** როგორც ამერიკული გაზეთები იუწყებიან, იქ შეთქმულობა აღმოუჩენიათ. შეთქმულთ, გაზ. „New-Jork-World"-ის სიტყვით, შტატების პრეზიდენტის მაკ-კინლეის მოკვლა ჰქონიათ აზრად. შეთქმულნი ესპანელნი ყოფილან, კუნძულ კუბიდგან მოსულნი. გეგმა შეუმუშავებიათ და ის იყო სისრულეში უპირებდნენ მოყვანას, რომ ერთ შეთქმულთაგანს უცნობებია ყოველივე მთავრობისათვის. ამ ჟამად მაკ-კინლეის სასახლეს საიდუმლო პოლიციელნი სდარაჯობენ თურმე.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შესანიშნავის და დიდად ცნობილის მსახიობის ელეონორა დუზის ქალი, ელისაბედ მარჩეტტი წელს ათავებს სწავლას მიუნჰენში. მარჩეტტი ამ ჟამად 19 წლისაა. იგი სახით, ტანით და ხმით საოცრადა ჰგავს თურმე თავისს დედას. მით უფრო უცნაურია ის გარემოება, რომ მარჩეტტის საშინლად ეჯავრება სცენა და იქ შესვლა არასოდეს არ მოსვლია აზრად. შეიძლება იმიტომ მოხდა ესა, რომ მარჩეტტი მუდამ დედასთან იყო, მას შეძლება ჰქონდა კარგად გაეცნო ეს სამოქმედო ასპარეზი და დაინახა, რამდენ შრომასა და წვალებას მოითხოვს იგი, რამდენ უსიამოვნებას გამოსცდის კაცი აქ. ერთად-ერთი სურვილი ელისაბედ მარჩეტტასი ის არის თურმე, რომ მასწავლებლად გახდეს. დედა ძალიან გახარებულია, რომ იმისმა ქალმა მასწავლებლობა განიზრახა და არა სხვა რომელსამე საქმეს მოჰკიდა ხელი.

* * *

ამ ბოლოს დროს საზღვარ გარეთ ძალიან გახშირდა გაზეთების შემწეობით, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, განცხადების შემწეობით, ცოლის შერთვა. ძვირად ჰნახავთ ისეთს გაზეთს, რომელშიაც სამი ან ოთხი ასეთი განცხადება არ იყოს, ხოლო დიდად გავრცელებულ გაზეთებში რამდენიმე სვეტია სავსე მარტო ასეთის განცხადებებით. ფრანგულ გაზეთის „La Journal"-ის მე-2837 ნომერში, მაგალითად, ამ გვარს განცხადებებს მთელი სამი სვეტი უჭირავს. მოგვყავს ამ გაზეთიდგან რამდენიმე განცხადება.

„ახალგაზრდა 30 წლის კაცს, მგზავრობის მოყვარულს, ცოლის შერთვა ჰსურს. ქალის ხნოვანება მხედველობაში არ იქმნება მიღებული".

„ახალგაზრდა ამერიკელი, რომელსაც 2,000,000 ფრანკი აქვს, დაეძებს კარგ მზითვიან ახალგაზრდავე ფრანგის ქალს".

„ახალგაზრდა კაცს ჰსურს შეირთოს ცოლად ისეთი ქალი, რომელსაც ველოსიპედით სიარული უყვარს".

„ლიტერატორი, 58 წლისა, დაეძებს საცოლედ ქალს, 45 წლისას, საჭიროა ცოტაოდენი მზითევიც".

„ვექილი, კარგის გვარის შვილი, მაგრამ ღარიბი, დაეძებს საცოლედ ძალიან მდიდარ ქალს".

„40 წლის კაცი, რომელიც საზოგადოებაში კარგად არის მიღებული, თანახმაა შეირთოს ცოლად ისეთი ქალი, რომელსაც „ცოდვა" მიუძღვის, მაგრამ მდიდარი-კი არის".

„ძალიან ლამაზი, მოხდენილი და კოხტა უცხოელი ქალი, რომელსაც განზრახული აქვს მუსიკის შესწავლა, მისთხოვდება ძალიან მდიდარ კაცს, იმ პირობით-კი, რომ მუსიკის შესწავლის ნება მისცეს".

„ახალგაზრდა 24 წლის კაცი დაეძებს საცოლედ 40—50 წლის ქალს".

„ახალგაზრდა, 23 წლის შავგვრემან ქალს, რომელსაც წელიწადში 4000 ფრანკი შემოსავალი აქვს, გულითა და სულით უნდა გათხოვება.

* * *

პეტერბურგში სცხოვრობს ამ ჟამად ერთი რუსი, გვარად იაბლოჩკინი, რომელსაც საოცარი სიარული სცოდნია. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, იაბლოჩკინს 3 საათში თავისუფლად შეუძლიან თურმე 50 ვერსის გავლა. 1891 წელს ეს კაცი პეტერბურგიდგან მოსკოვში (609 ვერსია) 8 დღეში ჩასულა, შემდეგ მოსკოვიდგან პარიჟში (3,100 ვერსი) — 41 დღეში; ამისათვის ცირკის „როიალის-"აგან (ეს ცირკი პარიჟშია) 5,000 ფრანკი მიუღია. პარიჟიდგან მონტეკარლოში 14 დღეს ჩასულა (1,105 კილომეტრია). 1893 წელს ამერიკაში სანაძლეო მოუგია 10,000 მანეთი, რადგანაც ნიუ-იორკიდგან ჩიკაგომდე (1,526 კილომეტრია) 18 დღეში ჩასულა. სანაძლეო ათინაშიაც მოუგია „ოლიმპიის თამაშობების" დროს, 42 ვერსი 2 საათსა და 5 წუთს გაუვლია. 1888 წელს იაბლოჩკინს ლონდონშიაც პირველი პრიზი აუღია, როდესაც მთელის ქვეყნის ჩქარამოსიარულენი შეჯიბრებულან; 53 ვერსი 3 საათსა და 7 წუთს გაუვლია მაშინ იაბლოჩკინს. ამ ჟამად იაბლოჩკინი 30 წლის კაცია. სულ სანაძლეოების დროს ამ კაცს 6,346 ვერსი გაუვლია.

# ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ გამოცემული და ჩვენის ცნობილის მუსიკის მცოდნე ფ. ქორიძის მიერ ნოტებზედ გადაღებული „ქართული ხალხური სიმღერები", რიცხვით სულ 8 №: „მოგონება" გურულს კილოზედ; „ქართული სიმფონია" მეგრულს კილოზედ; „ბროლის ყელი" იმერულს კილოზედ, დუეტი; „საყვარელსა განმაშორა სოფელმან" — კახურს კილოზედ; „შავი შაშვი" — გურულს კილოზედ; „ვაი დრონი, დრონი" — ქართლურს კილოზედ; „ნუ მღერი, ტურფავ", რომანსი, სიტყვები ა. ახნაზაროვისა; „ინდი-მინდი, ფერად შინდი" გურულს კილოზედ. სწორედ სასიამოვნოა, როდესაც ჰხედავ, რომ დღითი-დღე ჩვენს მცირე ეროვნულს სიმდიდრეს თავ-გამოდებულნი მუშაკნი კუთხით-კუთხემდე ჰკრებენ და ჩვენთა და სხვათა საცნობად ნელ-ნელა ჰბეჭდავენ, სულ ერთია ეს სიტყვიერი ნაწარმოებნი იქნებიან, თუ ერის გრძნობათა და სულისა და გულის გადმომცემი ჰანგები. უსაჭიროესი ამათგან პირველია, რასაკვირველია, მაგრამ როდესაც ვხედავთ, რომ მეორესაც, ე. ი. ჩვენს ეროვნულს სიმღერებს, ეხლა ესოდენ დიდს ყურადღებას აქცევენ და ნაბეჭდ ქართულს გალობა-სიმღერებს ახალსა და ახალს უმატებენ, უნებურად ვსიამოვნებთ, რომ აქამდის ავმაღლებულვართ და ვაფასებთ, თუ რა არის ესტეტიური მშვენიერება, ან რამდენად უნდა ვუფრთხილდებოდეთ ჩვენს ეროვნულს სიმღერებსა. ეს-კი სჩანს იქიდგან, რომ გამოცემა ამ ახალის სიმღერებისა, როგორც წინადაც, უკისრია ისევ „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელს საზოგადოებას", რომლის მოვალეობაცაა იზრუნოს ამისათვის, და შრომა ნოტებზედ გადაღებისა და მუსიკის დაწერისა პატივცემულს ბ-ნს ფ. ქორიძეს, რომელიც, იმედია, ჯერ კიდევ სხვასაც ბევრს დაგვიწერს. ნოტები შესანიშნავად ფაქიზად არის დაბეჭდილი და ფასიც დიდი არა აქვს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ივლისი

**იოკაჰამა.** ჩინეთისა და იაპონიის იმპერატორებს ერთმანეთისათვის წერილები გაუგზავნიათ, რომელნიც ახლა გამოაქვეყნეს. ჩინეთის იმპერატორი 20 ივნისს სწერს ამ ბოლო დროს საქმეების შესახებ და ამბობს, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთი ერთმანერთის მტრები არიანო. „მარტო ჩინეთს არ უცქერიან მუშტრის თვალით სახელმწიფოები, — სწერს იგი, — თუ ჩინეთი ვერ დაიცავს თავისს თავს, უეჭველია, იაპონიაც განსაცდელში ჩავარდება; ამისათვის ჩინეთს იაპონიის იმედი უნდა ჰქონდეს". იაპონიის იმპერატორი ამტკიცებს თავისს პასუხში, რომ ჩინეთმა უნდა მოსპოს ამბოხება და გადაარჩინოს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და ამნაირად აიცილოს თავიდგან უბედურება. თუ ასე მოიქცევა, სახელმწიფოები გაიგებენ, რომ ჩინეთს ომის აცდენა უნდა, მაშინ იაპონიაც მზად იქმნება ყოველივე ღონისძიება იხმაროს და მოლაპარაკების დროს ჩინეთის ინტერესები დაიცვას.

**ლონდონი.** აქაურ პოლიტიკურ წრეში არა სჯერათ, რომ პეკინში მყოფი ამერიკის ელჩის დეპეშა ნამდვილი იყოს და წინანდებურად დარწმუნებულნი არიან, რომ პეკინში მყოფი ყველა უცხოელნი დიდი ხანია დახოცილნი არიან; ვაჭართა შორის კი, რომელთაც ჩინეთში აქვთ სავაჭრო ინტერესები, არ გამქრალა იმედი, რომ პეკინის საელჩოებს მმართველობა იცავს და არ დაუნგრევიათ.

**ბერლინი.** ჩიფუში მყოფი გერმანიის კონსული, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შანდუნის გუბერნატორისაგან გაეგო რამ იმის შესახებ, ვითომ იერიშით აიღეს პეკინში მყოფი საელჩოებიო, 7 ივლისს დეპეშით იუწყება, რომ გუბერნატორი გარდაწყვეტით აცხადებს, რომ არავისათვის არ მიუცია ცნობები, ვითომ პეკინში უცხოელთა საელჩოები იერიშით აეღოთ და უცხოელნი ამოეჟლიტათო. შემდეგ ჩიფუში მყოფ ყველა კონსულებს ატყობინებს, რომ 7 ივლისს, საღამოს 10 საათზედ შიკრიკმა მოიტანა ცზუნგ-ლი-იამენისაგან გამოტანებული უცხო ენაზედ დაწერილი დეპეშა ამერიკის ელჩისა, 5 ივლისს, ვაშინგტონში გასაგზავნადაო. ეს დეპეშა გავგზავნე კიდეცაო.

**ბერლინი.** გერმანელთა აზიის ბანკს მისი წარმომადგენელი ატყობინებს დეპეშით შანხაიდგან, რომ თვიური შემოსატანი 5% იანის 1898 წლის სესხისა დროზედ იქმნა გარდახდილიო, ასე რომ სესხის გამცემ ბანკებმა უკვე მიიღეს ოთხი მეექვსედი კუპონისა, რომლის ვადაც 1 სექტემბერს გადის.

**კოპენჰაგენი.** დანიის სამისიონერო საზოგადოება იტყობინება 7 ივლისს, რომ დანიის მისსიონერებმა ხსიოხზენიდგან უშველეს თავსაო პორტ-არტურში გაქცევით.

საკრეისერო კორვეტი „ვალკირიენი", რომელსაც პრინცი ვალდემარი უფროსობდა, დაბრუნდა შორეულ აღმოსავლეთიდგან.

**ტიან-ძინი.** 5 ივლისს მოკავშირეებმა ხელში ჩაიგდეს გენერალ ნესა და მეფის მოადგილის კასსები, რომლებშიაც $2^{1}/_{2}$ მილიონი ტაელი ნახეს.

**შანხაი.** 5 ივლისს ლიხუნჩანგი ჩრდილოეთისაკენ წავიდა და თანახმა გახდა იგი შემდეგის სამის პირობით იმოქმედოს: ა) მთავრობა მშვიდობიანობის პოლიტიკას დააყენოს, ბ) „მოკრივეების" წინააღმდეგ ენერგიული ზომები მიიღოს და გ) იგი პასუხის გებაში არ იქმნას მიცემული, თუ საქმის მშვიდობიანობით გათავებას ვერ მოახერხებს.

**ჰონკონგი.** 5 ივლისს, ლიხუნჩანგის წასვლის შემდეგ, ფრანგებმა

გადმოსვეს ნაპირზედ 200 ზღვაოსანი. ინგლისელები კანტონელ ევროპიელებს მფარველობას უწევენ.

**კონსტანტინეპოლი.** კატეგორიულად უარჰყოფენ ევროპის გაზეთების კორესპონდენტების მიერ გავრცელებულს ხმას, ვითომც ჩინეთის საქმეები აქ განსაკუთრებულს შთაბეჭდილებას ახდენდნენ და ვითომც აგიტაციაც არსებობდეს. არა თუ ოსმალეთის მთავრობისაკან შორს არიან ის აზრები და განზრახვები, რომელთაც მას აწერენ, კონსტანტინეპოლისა და პროვინციების მცხოვრებთაც სრულიად არ ემჩნევათ ევროპის წინაალმდეგნი მიდრეკილებანი.

**პარიჟი.** აქ ჩამოვიდა საერო განათლების სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ორასზე მეტი მასწავლებელი გამოფენის დასათვალიერებლად.

**ბელგრადი.** სამინისტრო სამსახურიდგან გადადგა.

**შანხაი.** ინგლისის კრეისერი „ბონავანტურე“ დილით ვუზუნს წავიდა, რათა თვალ-ყური ადევნოს ცემს „ამპინგს“, რომელზედაც ლი-ხუნგ-ჩანგი იმყოფება.

**ბრიუსელი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს ხუთ ივლისს დეპეშა მოუვიდა, რომლითაც შანდუნის გუბერნატორი ირწმუნება, რომ 7 ივლისს უცხოეთის წარმომადგენლები პეკინში უვნებელნი იყვნენ და ჩინეთის მთავრობა მათ მფარველობას უწევდაო. ლი-ხუნგ-ჩანგი შანხაიში მივიდა.

9 ივლისი

**პეტერბურგი.** უმაღლესად ებრძანა სამხედრო მინისტრს საომრად მოამზადოს ჯარი ციმბირისა და სემირეჩინის ოლქებში და თურქესტანის მხარეში.

დეპეშა გროდეკოვისა, ხაბაროვსკიდგან გამოგზავნილი 6 ივლისს: ყველა მოსამსახურენი და მუშები ბაიკალის იქითა მხარის ახლო მდებარე ადგილებისა არგუნისაკენ 800 დატვირთული ფურგუნით მიდიან. მანჯურიაში სადგურებზედ მონგოლთა ბრბოებს სახლები და დუქნები გაუძარცვავთ, მაგრამ საზღვარზედ გადმოსვლას-კი არა ცდილან. 7 ივლისს პოლკოვნიკის სერვიანოვის რაზმმა მიხაილო-სემიონოვსკაზე გაიარა. 6 ივლისს ჩინელები სუსტად ესროდნენ ბლაგოვეშჩენსკს; ქალაქში უბედური შემთხვევა არა ყოფილა-რა. 6 ივლისს მოპირდაპირე ნაპირიდგან განდევნილ იქმნენ ჩინელები. პოლკოვნიკის პეჩეკინის რაზმს ხარბინში 30 ივნისს არა შემთხვევია-რა. 5 ივლისს სიმაგრე ეხოს ჩინელებმა ნიკოლსკის მოწინავე რაზმის დარაჯნი უკან დასწიეს, შემდეგ მოწინავე რაზმმა მოიყარა თავი და გარეკა ჩინელები თვით ეხომდე. ჩინელებმა ბრძოლის ველზედ 200 კაცამდე დასტოვეს; 6-ს ღამეს ჩინელებმა სიმაგრე ეხო დიდის სისწრაფით მიატოვეს. თვით ციხე დასწვეს, ზარბაზნები თან წაიღეს, ბაირაღები ჩამოხსნეს და ტყვია-წამალი ააფეთქეს. ჩვენის მხრივ ორი ჯარის-კაცია დაჭრილი.

30 ივნისს ხარბინიდგან მიხაილო-სემიონოვსკაში გემით მოიყვანეს რუსეთ-ჩინეთის ბანკის მოსამსახურეთა ოჯახი და ბანკის განყოფილება. 30 ივნისს ხარბინში მშვიდობიანობა იყო.

ვიცე-ადმირალი ალექსეევი დეპეშით იტყობინება 7 ივლისს ჩიფუდგან, რომ ტიან-ძინი აღებულია; ევროპიელებმა წაართვეს ჩინელებს 40 ზარბაზანი და ბევრი საომარი იარაღი; ააფეთქეს აგრეთვე წამლის საწყობი. რუსებს მოუკლეს და დაუჭრეს 200 კაცი.

**ბელგრადი.** მეფეს ჯერ ნება არ დაურთავს სამინისტროს სამსახურიდგან გადადგომის შესახებ.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება პრეტორიიდგან 8 ივლისს, რომ გენერალი ლიტლი 6 ივლისს შეხვდა ლინდლეისთან ბურების რაზმს, რომელსაც სარდლობდა დევეტი და რომელიც გენ. გუნტერს გამოუსხლტდა ხელიდგან. ბურები დამარცხდნენ და უკუქცეულ იქმნენ. ინგლისელთა ზარალი მცირეა. ბროდვუდისა და გუნტერისაგან ამბები არ მოსულა. გამილტონი და მაგანი დღეს შეუერთდებიან პოლკერიუს რაზმს პირველ ფაბრიკებთან. 6 ივლისს ბურებმა ლიანდაგიდგან გადააგდეს მატარებელი, რომელშიაც 23 დაჭრილი ინგლისელი იყო.

სეიმური იტყობინება, რომ ჩინელებმა სრულიად თავი დაანებეს ტიან-ძინსა და მის მიდამოებსაო.

**კაპშტადტი.** რობერტსმა მძლავრის ჯარით იერიში მიიტანა მიდელსბურგზედ. ბრძოლა დაიწყო. კრიუგერი თითონ ამხნევებს მებრძოლს ბურებს.

**ვაშინგტონი.** შენი დეპეშით იტყობინება, რომ 5 ივლისს უცხოელნი პეკინში უვნებელნი იყვნენო. შენი დასძენს ამას, რომ მეამბოხენი ერთმანეთს ებრძვიან და ჟლეტენო.

**ჩიფუ.** შანდუნის გუბერნატორმა აქაურს კონსულებს დეპეშა გამოუგზავნა, რომ ეს არის ეხლა მივიღე ნამდვილი ამბავი, რომ ყველა ელჩნი უმიშარს მდგომარეობაში არიან და მათ იცავს მართველობაო.

**პარიჟი.** ჩინეთის ელჩმა აცნობა დელკასეს იმპერატორის ცნობა, 5 ივლისს გამოგზავნილი; ცნობაში სწერია, რომ ერთის თვის განმავლობაში, გარდა გერმანიის ელჩისა, ბრბოსაგან არავინ ყოფილა მოკლული. მეამბოხენი შეპყრობილნი არიან და ნაბრძანებია სასტიკად იქმნან დასჯილნიო. დანარჩენი ელჩნი და უცხოელნი, საბედნიეროდ, კარგადა და უვნებლად არიან, მათ მმართველობა იცავსო.

**ბერლინი.** ჩიფუში მყოფმა გერმანიის კონსულმა სთხოვა შანდუნის გუბერნატორს გერმანიის საელჩოს პეკინში დეპეშა გარდასცეს ჩინურს ენაზედ, რომელშიაც გერმანიის იმპერატორის დაპირების შესახებ სწერია და ამასთანავე სთხოვს ელჩს დეპეშით გამოუგზავნოს ძუნგ-ლი-იამენის საშუალებით, რა მოხდა, რა მდგომარეობაშია საქმე და საელჩოსათვის რის გაკეთება შეიძლება.

**ბრიუსელი.** ჩინეთის ელჩმა დეპეშა მიიღო შენისაგან, რომელშიაც აცნობებს შანდუნის გუბერნატორის დეპეშას, რომ პეკინში მყოფნი ელჩნი უვნებლად არიან. გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, რომ მისთვის აუცილებლად საჭიროა მიწერ-მოწერა იქონიოს პირდაპირ პეკინში მყოფ ელჩთან და უტყუარი ცნობები მიიღოს უცხოელთა მდგომარეობის შესახებ.

**პარიჟი.** მინისტრთა კრებაზედ დელკასსემ წაიკითხა პასუხი, რომელიც მან პეკინში გაგზავნა იმპერატორის თხოვნაზე შუამდგომლობის შესახებ. შუამდგომლობაზედ ლაპარაკი არ შეიძლებაო, ნათქვამია პასუხში, სანამ საფრანგეთი არ დარწმუნდება, 1) რომ უცხოეთის ელჩებს არა უჭირთ რა და მათ თავისუფლად შეუძლიანთ მიწერ-მოწერა იქონიონ თავიანთ მთავრობებთან; 2) რომ პრინცი ტუანი და წარჩინებულნი მოხელენი, რომელნიც ეხლანდელს არეულობაში დანაშაულნი არიან, გადაყენებულ იქმნებიან სამსახურიდგან და შემდეგ დასჯილ იქმნებიან; 3) რომ ჯარები და მმართველნი მთელს იმპერიაში ბრძანებას მიიღებენ უცხოელთა საწინაალმდეგოდ მოქმედების შეწყვეტის შესახებ და 4) რომ ამბოხების მოსასპობლად სასტიკი ზომები იქმნებიან მიღებულნი. სანამ ყველა ეს მოთხოვნილება ასრულებული არ იქმნება, მანამდის ლაპარაკი მხოლოდ ომზედ შეიძლებაო. დელკასემ განაცხადა შემდეგ, რომ წინადადება მისცა სახელმწიფოებს—შევთანხმდეთ იმის შესახებ, რომ არც ერთმა სახელმწიფომ ჩინეთში იარაღი აღარ გაჰყიდოსო; წინადადება ყველამ მოიწონაო.

10 ივლისი

**პეტერბურგი.** სადგურ პოგრანიჩნაიადგან ინჟინერის სვიაგინის მიერ 5 ივლისს გამოგზავნილი დეპეშა: „14 ივნისს აქ მოვიდა ჩინეთის სამხედრო საყარაულოს უფროსი და გაგვაფრთხილა, რომ 600 კაცი სადგურს თავს დასხმას უპირებსო. ჩინელების მიერ თავ-დასხმის შესახებ გავრცელებული ხმები დამ-დამობით ერთ-თავად ალიაქოთს იწვევდა, შიშსავრცელებდა და საქმეს გვიცარავდა. 27 ივნისს ამბავი მოვიდა, რომ ჩინელები სადგურ ხანტახებს სძარცვავენ და სწვავენო; ამის შემდეგი ხარბინთან დეპეშების გზავნა-მიღება შესწყდა. 27 ივნისს ხარბინში გაგზავნილს რკინის გზის მცველს რაზმს, რომელსაც 100 კაცი შეადგენდა, მერენს გაღმა 400 ჩინელი თავს დაესხა. ჩინელებს სასწრაფოდ სასროლი თოფები ჰქონდათო. რაზმმა ჩინელები მოიგერია მცირედის ზარალით. თავ-დასხმულთა შორის ჩინელი ჯარის-კაცებიც იყვნენ. 60 ჩინელი და მათი ბელადი მოკლულ იქმნენ. საზღვარზედ მყოფი მოდარაჯე ჩინელები სულ წავიდნენ. ჩინელების ჯარის კაცნი რომ მიდიოდნენ, მუშებსაც იძულებულს ჰყოფდნენ სამუშაოზედ ხელი აეღოთ. მრავალი მუშა წავიდა. მუშაობა მძიმედ მიდის. საზოგადო წესი დაცულია. 10 ივლისს მე 12 ნაწილზედ ვიწყებ ლიანდაგის გაწყობას“.

ინჟინერი კრუტიცკი იუწყება 7 ივლისს ალგაჩიდგან. „ხაიმარი ჩინეთის ჯარის-კაცებმა დაიჭირეს. უფროს ინჟინერის შესახებ არავითარი ცნობები არ არის. დამცველი ჯარი ხარბინში იკრიბება.

**კიევი.** კიევის გუბერნიაში საშუალო მოსავალია.

**ჩიფუ.** იანშიკაის გუბერნატორის მიერ 8 ივლისს გამოგზავნილი დეპეშა: „ნამდვილი ცნობები მაქვს მიღებული პეკინიდგან, რომ ყველა ელჩები მართლად და უვნებლად არიან“.

**ბერლინი.** სვატაუში მყოფი გერმანიის მისსიონერები შიდა პროვინციებიდგან სულ აქ შეიკრიბნენ და უშიშრად არიანო.

**ბელგრადი.** მეფე ალექსანდრე აცხადებს მანიფესტით, რომ დედოფლის ნატალიას სასახლეში მყოფს დრაგა მაშინზედ დანიშნულ იქმნა იგი.

**შანხაი.** ლიხუნგჩანგი ჩამოვიდა აქ. კონსულებმა დაადგინეს ოფიციალური დარბაზობა არ გაუწიონ ლიხუნგჩანგს.

**ბელგრადი.** მეფემ კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომა მიიღო.

## ორიოდე სიტყვა ბ-ნ ქიათურის „პროტესტანტების“ შესახებ.

წავიკითხე თუ არა „კვალის“ უკანასკნელ № ში ქიათურელ „პროტესტანტების“ რიხიანი შენიშვნა, გამეცინა და ვიფიქრე: მადლობა ღმერთს, ყველაფერს უნდა მოელოდე კაცი ამ ქვეყნად მეთქი... მე, თქვენს უმორჩილეს მონას, როგორც ქიათურაში დიდის ხნის მცხოვრებს და კარგად დაახლოვებულს ნაცნობს ამ ვაჟბატონებისას, რასა კვირველია, არც ამ „პროტესტის“ დაბადება გამომპარვია და არც მისი მონათვლა. დაიბადა, მოინათლა და გამოქვეყნდა იგი თუ არა, მერე არაფრად იამათ ზოგიერთ მისს ნათლიებს მისი გამოქვეყნება, თუმც ზოგსკი სიამოვნების ნექტარი „უვლიდა ტანში, რომ მათი სახელი და გვარი გაზეთებში გამოიჭიმა. თითოეული მათგანი სიამოვნებით დააჩერდებოდა ხოლმე თავისს დაბეჭდილს გვარს და თავ-მომწონედ რამდენჯერმე გადაავლებდა თვალს... რაც შეეხება მოტყუებასა და გაბრიყვებას, ვიცი, რომ დაბეჭდვის შემდეგ დიდი სამდურავი განაცხადეს თავისის თავისა ბ-ნთ კ. კიკიანმა და ივ. ჯანელიძემ. მოვტყუვდით, შევცდით, რა ჩვენი საქმე იყოო, და სხვა...

მართლა-და როდესაც კაცი თავისს დანაშაულს იგრძნობს და აღიარებს, იგი თანაგრძნობის ღირსია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ თვითვე აღიარეს, მოვტყუვდითო, და მაინც-კი საქვეყნოდ გაიძახიან, ჩვენის ნებითა და სურვილით მოხდა ჩვენი მოტყუებაო.

მეტი არა დაგვრჩენია-რა, ერთხელ კიდევ დავეკითხოთ ბ-ნთ კიკიანსა და ჯანელიძეს,—პირველად ხომ ძლიერ დამნაშავედ ჰგრძნობდნენ თავიანთ თავს და წუწუნებდნენ თავიანთ დანაშაულის გამო, შემდეგ რა მოუვიდათ, რომ ასეთის რიხით გამოდიან და ამაყად გაიძახიან,—ეგ საქციელი ჩვენის საკუთარის ჭკუის ნაყოფი იყოო... რომელ ერთს დავუჯეროთ, ბ-ნ კიკიანის სიტყვას, თუ „კვალის“ ფურცლებზედ რიხით დიდრონის ასოებით მოწერილ მისს გვარს? არ ვიცი და იმედია, ამას გაგვაგებინებენ. სიტყვით ერთის თქმა და წერით სხვისი განცხადება რა საკადრისია?! ან იქნება ეს ვაჟბატონები იმ ცალიკურს ქვევრსა ჰგვანან, რომელიც, რასაც ჩასძახებ, იმას ამოიძახებს?! თუ ვინიკობაა ბ-ნნი კიკიანი და ჯანელიძე კიდევ უარს განაცხადებენ, მზადა ვარ დაუმტკიცო, რომ იმათ მართლაც განაცხადეს, მოვტყუვდით და „პროტესტს“ ხელი მოვაწერეთო. მათ მიერ ამის თქმას დაესწრნენ ა-სსი გიორგი ნანეიშვილი (წიგნთ-საცავის გამგეა) და მირიან პაპიშვილი, რომლებიც იმ დროს წიგნთ-საცავში იყვნენ და გაიგონეს ეს სიტყვები. იმედია, ეს ბატონები არ დაიშურებენ, თუ საჭირო იქმნა, ორიოდე სტრიქონის დაწერას სიმართლის გამოსარკვევად.

კ. წ—ლი

## წერილი რედაქციის მიმართ

წარსულის წლის „ივერიის“ მე-261 №-ში ჩემს თხოვნა-მოწოდებას ქართულის მუსიკის დაბეჭდვისა და დახმარების შესახებ ყურადღება მიაქციეს და შემოსწირეს: მღ. პოლიევქტ კარბელაშვილმა 1 მ., აწ გარდაცვალებულმა მღ. ალექსანდრე მოლოდინოვმა 1 მ., სასაზნაურო სკოლიდგან 9 მან. და იაკობ გურგენის ძე მამინაიშვილმა 30 მან. აღნიშნულ პირთ ამ სამშობლო მუსიკისათვის გულ-შემატკივრობისა და დახმარებისათვის დიდს მადლობას გუძღვნი და იმედი მაქვს, მომავალშიაც არ მოგვაკლებენ თანაგრძნობასა. აღნიშნულს ფულებს ჩემიც დავუმატე და ერთი სიმღერა, სახელდობრ „პატარა სიყვარული“ ქართულს, რუსულს და იტალიანურს ენაზედ გამოვეცი, ფორტეპიანოს შეწყობით. თანახმად პირვანდელ აღთქმისა ამ თითო გამოცემის ეგზემპლიარი შემომწირველთ დაურიგდებათ, დიდის მადლობით.

ფილიმონ ქორიძე.

—

უღრმესს მადლობას ვუცხადებ ს. ქვემონიქოზში მცხოვრებს თავ. ზაქარია ბესარიონის ძეს ფავლენიშვილს, რომელმაც ერთი 30 მან. ღირებული ოქროში დაფერილი ვერცხლის ჯვარი შემოსწირა ჩემდა რწმუნებულს ქვემო ნიქოზის წ. გიორგის ეკკლესიას.

ს. ქვემონიქოზის მღ. დავით კაპანაძე

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

### პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

21 ივლისი

საქმე ვლადიმირ კობახიძისა, რომელსაც კაცის მოკვლის ბრალი ედება.

სპირიდონ და პავლე გულიტაშვილებისა, რომელთაც სასჯ. დებულ. მე-996 მუხ. აღნიშნულ დანაშაულის ბრალი ედებათ.

თელა ბუგულაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის ბრალი ედება.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ **ქალაქის აგარაკი ბორჯომში** (აბესალომოვისეული), რომელიც შეიცავს 5 ოთახს ძირის სართულში და 4 ოთახს ზემოსაში, **იძლევა ქირით დაკლებულის ფასით.** პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის მე 4 ამ შენებელ განყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, 8—დგან 1-ლ საათამდე. (3—6.—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 20 ივლისს, 1900 წელს, ნაშუადღევის 12 საათზედ, ნაცვლად არ მომხდარის ვაჭრობისა, დანიშნულია ახალი ვაჭრობა ქალაქის მამულის იჯარით გასაცემად, რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისის მე-7 ნაწილში, ავლაბრის აგარაკში, ზომით 28 დესეტინა, გაჯის დასაწვავად.

მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობანი ქალაქის გამგეობის მე 4 განყოფილებაში 8 საათიდამ 1 საათამდე ყოველ დღე, კვირა უქმეს გარდა. (3—6.—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Іюля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე